



## არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ღია მმართველობა საქართველოს (OGP) საბჭოს დატოვების შესახებ

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრების მიერ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების სანინააღმდეგოდ მიღებული [D](#) კანონი (უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ) ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არამედ [ვენეციის კომისიის](#) დასკვნით წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ევროპული კონვენციის (ECHR) მუხლებთან, ხოლო **ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შეფასებით** კანონი დისკრიმინაციულია, ახდენს სტიგმატიზაციას და ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და მონყვლადი ჯგუფების გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებას.

დღევანდელი კანონი  პირდაპირ არღვევს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ძირითადი ღირებულებებსა და პრინციპებს, ასევე მმართველობის წესებს, რის გამოც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 თებერვლის №110 დადგენილებით შექმნილი საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება დავტოვოთ როგორც საბჭო, ასევე მისი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი  მმართველობა საქართველოს ფორუმი.“

მივმართავთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას (ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს), უმოკლეს ვადაში მოამზადოს საქართველოს ღია მმართველობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

---

## ხელმომწერი ორგანიზაციები:

ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ა(ა)იპ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა(ა)იპ ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი

ა(ა)იპ ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის